


მსმელარი



№ 5.

ორგანო სამხ. სამინ. კულტ.-განათლ. საქმისა.

№ 5.

~~1497~~



დანიშნულება	
საზღვარი	გ.
განყოფილება	მ.
ფუნქციონირება	მ.
ხელმოწერა	974

სამხ. მინისტრის ამხანაგი გენერალი ალ. გედევანიშვილი.
ნახატი კ. ქავთარაძისი.

თფილისი, 27 ივნისი.

უკადურნი. „ზურ-მარლი ქვასე დასდე, გამოივლი წინ დაგსვდება“—ამბობს ქართული სიბრძნე. და ამ თქმულებას ქართველი ხალხი - შედმიწვევით ასრულებს თავისი ცხოვრების ყველა დარგში. მაგრამ როგორც კერძო ოჯახს ისე საზოგადოებას და სასელმწიფოსაც ჰეავთ სოლმე ამავის დაუნახველი, უმაღური წევრნი. ასეთ ხალხს ფიანდასადაც რომ დაეფინოთ, მთელი საცხოვრებელი რომ შედ გადაგოთ, მალამოთ რომ წაეცხოთ, უკანასკნელი ჰურის ლუკმაც რომ მისთავაზოთ, მათს კარეცნილ გულს ვერ მოიგებთ, მათი გამკვლელებული მადა განუსომეღია.

ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის კალთას ბევრი ასეთი უმაღური შემოჭნიზნია. უხვათ სარგებლობენ ჩვენის ჰურ-მარლიანობით, ჩვენის გულგეთილობით, მაგრამ მანც ტვისავენ იცქირებინ, ეგება კბილი გაპკრათ რასმესო.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, დღიდან თავისი არსებობისა ამაყად უჭირავს დრომა ერთა სიყვარულისა, თანასწორობისა და სამართლიანობისა. მას დღემდე ბევრი სიმწრის ოფლი უღვრია, ბევრი უმანკო სისხლი დაუქცევია მესობელთა განსადამიანებლად და მათთან კეთილ-მესობლურ დამოკიდებულების განსამტკიცებლად.

მაგრამ უმაღურობას რომ ბოლო არ ეღება.

ჯერ იყო და სომხეთმა ათასნაირად გზების დახლართვის შემდეგ ომიც კი გამოგვიცხადა. მათ, ასე ვთქვათ, ერთგვარი „საბუთი“ ჰქონდათ: მათ მოეგუნებათ „დიდი სომხეთის შექმნა“ და ჩვენი რესპუბლიკის მოთავსება მის ფარგლებში, ჩვენი დედაქალაქი თვალს სჭრიდა მათს გაღვიძებულ მადას, მაგრამ ზარბაზნის ცეცხლზე დაეწვათ ეს უგუნური სურვილი, საქართველოს მხედრობამ სადახლოსა და ბოლნის — ხაჩინში ჩაფერულა მათი მსაკვრული გულისთქმა.

ახლა ადგრბეიჯანმა სცადა თავისი ბედი. ბოლშევიკებით გულ-მოცემული მოადგა იგი ჩვენს საზღვრებს. იმასაც თავისი ანგარიში ჰქონდა: ბაქო და ბათუმი უნდა შეერთებინა თავისი ნავთის გადასაქაჩავად და საქართველო გზათ უნდა გაეხადნა, მაგრამ ჩვენი მხედრობის მედგარმა შეტევამ იმასაც

მოაქეცინა ქერო და ასეთი კადნურებისათვის ქველი მოასრევიანა, სურგზე ბოლი **მადინა ჩვენს მიწას** წყალზე კადმოსულ მუხანათებს.

მაგრამ უტიფრობამდე მისულმა ოსებმა კადნიურებაში ორთავეს გადააჭარბეს.

ოსები ჩვენს სამშობლოს თავის კალთასე ჰეავს განრდილი, უცხო ქვეუნიდან ტაბარუკად კადმოსული ოსობა ჩვენს ქვეყანას თავის გულში დაუსახლებია, შემოუხინხავს, ჰატრონობა და მსრუნველობა არ მოუკლია, ქართლის საუკეთესო ადგილ-მამულები დაუთმია, მაგრამ მათს გაქსუვეულს გულს დღემდე უმაღურობის მეტი არაფერი გამოუჩენია.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ოსებს საკუთრებად გადასცა საუკეთესო ადგილები ქართლისა, სრულ-უფლებიან მოქალაქეებად განსადა, გაადამიანების გზასე დააყენა, კულტურულწინსვლიისათვის გზა გაუხსნა, მაგრამ მკელი მანც ტვისავენ იეურება და მოხერხებულ დროს შეურჩევს სოლმე რომ ქურდულად, ავანსაკურად, დაეცეს შეუდრო მცხოვრებთ, დააწიოკოს და დაარბიოს იგი.

ეს უკვე მესამეა მათი ვერაგული თავაშვებულობა, ეს უკვე მესამედ ჩასცეს სურგში მახვილი ჩვენს რესპუბლიკას!

მაგრამ ეს უკანასკნელია მათი თავსედური უმაღურობის გამოძედავება.

ჩვენმა მხედრობამ ჩრდილო ოსეთის საზღვრებზე გადარეკა ეს მოთარეძე ქურდ-ბაცაცები!


ჩვენი ხალხი ვეღარ მოითმენს ასეთს მუხანათობას. ჩვენი მხედრობა ერთსეელ და სამუდამოდ აღკვეთს მათს გულში ასეთს სრახვებს.

ჩვენი მხედრობა ცეცხლითა და მახვილით დაასსომებთ მათ, რომ, „ვინც მახვილს აღიმადლებს, მახვილითვე განიკვეთება“.

ქართული ჰურ-მარლი ქვასედაც კი არ იკარგება, ქართული შეწვალება უსაზღვროა, მაგრამ დემოკრატიის კარეწარებმა, რომ ქართველ დემოკრატიას სათნოება-სიყვარულისა და მსრუნველობის კარა და შეუძლიან მრისხანება და შურისძიებაც, თუ კი უმაღური გონს არ მოვლენ, ვიდრე ისინი არ განდებიან ღირსი დემოკრატიულ რესპუბლიკის მსრუნველობისა და შეწვალებისა.

ჩვენი მხედრობა ოსეთის საზღვარს გადასცილდა. ეს უნდა კმაროდეს თავაშვებულ უგუნურებისთვის კონსე მოსასვლელად!

ვინც ქრასა სთესავს, ქარტესლს მოიმკის!



ჯარი და სახალხო გვარდია

საქართველოს ს.-დ.-იულმა მუშათა პარტიის მეთაურე ყრილობა განიხილა რა საკითხი საქართველოს სამხედრო ძალთა ორგანიზაციის შესახებ. — დადგინა:

„თუმცა ს.-დ.-ია არის მომხრე ხალხის საყოველთაო შეიარაღებისა, მაგრამ მთელი მსოფლიოსა და კერძოდ საქართველოს თანამედროვე პირობებში იგი მხარს უჭერს, როგორც სახალხო-დემოკრატიული ჯარის, ისე სახალხო გვარდიის სისტემას.

ახალგაზრდა რევოლუციური ჯარი უნდა მოეწყოს მტკიცედ დემოკრატიულ ნიადაგზე, იგი უნდა იყოს ერთგული მსახური დემოკრატიული რესპუბლიკისა და გამტარებელი ძლიერი დისციპლინისა. ჯარის კაცი პირველ ყოვლისა უნდა იყოს პოლიტიკურად მოქალაქე: ოფიცრები უნდა დაუახლოვდნენ ჯარის კაცებს, მათ უნდა ესმოდეთ ჯარის სულიანობა და ისინი უნდა იყვნენ ჯარის კაცთა გულის მესაძლენი. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა ოფიცრების სწავლა-აღზრდის საქმეს და საერთოდ ახალ დემოკრატიულ ოფიცრობის შექმნას.

ჯარის გაჯანსაღებისათვის და მის დემოკრატიულ სულის გამტკიცებლად — ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და პარტიის წევრებს — სასტიკათ ებრძოლონ დემოკრატიურობას და პირველ ყოვლისა გაგზავნონ ჯარში ბევრის სასახლად პარტიის წევრები. აგრეთვე მიღონ ენერგიული ღონისძიებები, რათა ინტელიგენტური ძალები არ გაუბრუნდნენ ჯარში სამსახურს.

პარტიული ყრილობა აქცევს დიდ ყურადღებას სახალხო გვარდიის განმტკიცებას. და ამიტომ ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სახალხო გვარდიის ორგანიზაციაში. ყრილობას სასურველად მიიჩნია, რომ პარტიის ყოველი ჯანსაღი წევრი გახდეს სახალხო გვარდიელი და პირნათლად შეასრულოს სახალხო გვარდიელის მოვალეობა. საქირთა სახალხო გვარდიის მუდმივი და სპეციალური ნაწილების თანდათანობით შევსება ბევრად უფრო ახალგაზრდა ჯარის-კაცებით.

დღევანდელ პირობებში რესპუბლიკის ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი და საერთოდ რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნების საქმე დამოკიდებულია რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებზე. ამიტომ პარტიამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მათს განმტკიცება — განვითარებას და ამისთვის თავისი მთელი ძალებს უნდა მიანდოს ამ საქმის ხელმძღვანელობა.

განსაკუთრებული ყურადღება კი უნდა მიექცეს ჯარში გვარდიაში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. ყრილობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ჩვენმა ნორჩმა ჯარში და სახალხო გვარდიამ გაამართლა რესპუბლიკის იმედი, იგი მუშათა კლასის სახით მხურვალე საღამს უძღვნის რესპუბლიკის მებრძოლ მხედრობას.

ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და პარტიის წევრებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ **მეომართა მადრი ად ოჯახური მდგომარეობის შესამსუბუქებლად**, რათა ადგილობრივმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა

ორგანიზაციებმა ყოველგვარი სამეურნეო დახმარება გაუწიონ ჯარისკაცთა და სახალხო გვარდიელთა ოჯახებს და განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინონ ომში მონაწილე და დასახიჩრებულ ოჯახთა მიმართ. სახელმწიფომ უნდა უზრუნველ ჰყოს ეს ოჯახები.

ყრილობას სასურველად მიაჩნია, რომ ყოველი ის საწარმოვეო საშუალებანი, რომელიც მხედრობის განკარგულებათაში, მოჰხმარდეს საწარმოვეო მუშაობას, რამდენადაც ეს არ შეაფერხებს მხედრობის საომარ სამზადისს და უნარს.

დღევანდელი სინამდვილე

IV

ჩვენ და ბოლშევიკები

ბოლშევიკები გვესტუმრნენ. საზავო ხელშეკრულებამ გახსნა გზა, და დიდი ხნის მოწყვეტილი ჩრდილოეთი ისევ დაუახლოვა ჩვენს პატარა საქართველოს. დაშორებული იყო საქართველოს მთავრობა რუსეთის „საბჭოთა“ მთავრობისგან, სიშორეს გრძნობდა ორივე ქვეყნის შორომელი ხალხიც ერთი მეორისგან. მაგრამ ეს იყო, ასე ვთქვათ, ნაძალადევისი შორესამოქალაქო ომი საშუალებას არ გვაძლევდა საქართველოს და რუსეთის მუშა-გლეხობას ნამდვილი წარმოდგენა ჰქონებოდათ ერთმანეთის ცხოვრებაზე.

ახლა ეს კედელი დანგრეულია და აქ მშვიდობიანათ შემოვიდნენ ბოლშევიკები. ჩვენი ქვეყნიდანაც წავლენ „საბჭოთა“ რუსეთში. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მეორე ყრილობამ დაადგინა, გაგზავნოს რამოდენიმე ამხანაგი ბოლშევიკების საჩუქოს გასაცნობათ.

წავლენ და ნახავენ რა გაჭირვებაშია ის ქვეყანა, რომელშიაც ბოლშევიკები ამ ორი წლის განმავლობაში ამარცხებდნენ თავის მტრებს, სადაც ამ გამარჯვებულ პარტია-არავინ ეცილება მართვა-გამგეობაში, იქ ნახავენ ჩვენი ამხანაგები შიმშილს, დაცარიელებულ ქალაქებს, მინგრეულ-მონგრეულ სოფლებს, უდაბნოთ ქცეულ რკინის გზებს, ნახავენ, რომ იქ არა მოიპოვება რა აქ გადმოსატანი, ან გადმოსადები.

ჩვენი გაგზავნილი ამხანაგები გაიგებენ, რომ „სოციალისტურ“ რუსეთში გირვანქა შავი პური, ხარისხით და გემოთი ბევრით აქაურზე ნაკლები, ღირს 450 მ. გირვანქა ხორცი — 700 მან. რაცა ამაზე აქ ვსწერთ და ვლაპარაკობთ, ეს ხშირათ დაუჯერებლათ მიაჩნიათ. თავისით ვალით ნახულს, რასაკვირველია, უფრო დაიჯერებენ.

იქ ნახავენ არა მარტო სიძვირეს და აწიოკებულ ეკონომიურ ცხოვრებას, სანთლათაც რომ ეძებონ ველარ იზოვნიან ვერც ერთ ნამცეცს თავისუფლებისას. იქ, დიდი ხანია, თავის ნებაზე ველარ იკრიბებიან, ველარ სწერენ რაც უნდათ. იქ პიროვნებას ყოველდღე მოელის დატუსაღება, ციხეში გამგზავრება, დახვრეტა. არც ერთ პარტიას, ბოლშევიკების მეტს, არ აქვს თავისუფლათ სუნთქვის ნება. მენშევიკები, სოციალ-რევოლუციონერები, დიდი ხანია, კრინტსაც ველარ სძრავენ.



სახალხო გვარდიელთა ურილობა

ამ დღეებში აქ სტუმრათ მოსული ბოლშევიკები გაიკვირებენ, ალბათ, რომ საქართველო სულ არ ჰგავს „საბჭოთა“ რუსეთს. აქ მუშა-გლეხობის ხელშია მართვა-გამგეობა, მაგრამ ამისთვის აქაურ მთავრობას არ დასჭირვებია სხვა პარტიების ასე სასტიკათ ალაგმვა. ყველას აქვს ნება ჩვენს ქვეყანაში სიტყვის, ბეჭდვის, კრების. საქართველო მართლა სოციალისტურ გზაზეა დაღდარი. რაც გვქონდა, ის მაინც არ დაგვინგრევია.

აქ არ ყოფილა დღემდის ისეთი დამანგრეველი ძალა, როგორც არის ბოლშევიკური პარტია. ბოლშევიკებს უნდათ ზავის მიუხედავად ჩვენი ქვეყნის დამორჩილება და თუ დაიმორჩილეს, თუ აქაც გამეფდნენ, უსათუოდ ახლანდელ რუსეთის მდგომარეობაში ჩავვაყენებენ.

არ უნდა მიაღწიოს ავანკაჟა ჩვენი მუშის და გლეხის ყურადღება. არაკებში ვაგვიგონია ისეთი ნადირი, რომელიც იცვლის ხოლომე მარტო ქერქს და გულს კი არა, სამშვიდობო სახეს იჩენს და ჩუმათ კბილებს იღესავს. ამისთანა გმირებს არაფერი არ დაეჯერებათ...

გაზეთი გამოუშვეს თავისი. ჩვენმა მთავრობამ მისცა ამის ნება მათ, რამდენიხანია უშვებენ გაზეთსა და აქამდის არ ვიცით, რა უნდათ, რას ეძებენ ჩვენში. ვითომ მუშა-გლეხობისთვის იღებენ თავს, როცა აქ მეტი შეიძინეს მუშა-გლეხებმა, ვიდრე საბჭოთა რუსეთში. იქ მუშებს აღარ აქვთ, მაგალითათ რვა საათის სამუშაო დღე. ამუშავებენ 10, 11 საათს და 12 საათსაც. იქ გლეხს მიწა არ უშოვნია ჯერ. მართალია მსხვილი მიწათმფლობელები გარეკეს, მაგრამ მიწები დარჩა უპატრონოთ. გლეხებს არ აქვთ იმდენი საშუალება, რომ მოიხმარონ

ეს სიმდიდრე. მიწა ვეღარ იხენება, ვეღარ ითესება. მარტო წართმევა არ კმაროდა ამ მიწების, საჭირო იყო მათი გამოყენება, განაყოფიერება, ამ მხრივ კი რუსეთი წინ არ წასულა არც ერთი ნაბიჯით, უკან კი ძალიან შორს წავიდა.

ასე მოხდა, რადგან ბოლშევიკებმა ერთი ხელის დახმარებით მოინდომეს მიწის საკითხის გადაჭრა. ნაჩქარევად წავიდა თები არ ვარვა. საქართველოში ეს საქმე კეთდებოდა უფრო ნელა, მაგრამ უფრო საფუძვლიანათ. რუსეთში ბოლშევიკური გაზეთები გლეხებს ატყუებენ, — საქართველოს მთავრობის კაპიტალისტების და თავად აზნაურების ინტერესებს იცავს. ახლა შეუძლიანთ გაიგონ, რომ აქ ადგილ-მამულეები ხელს უშობენ, რომ არ დაგვიტოვებია, მიწა ჩამოერთვა მსხვილ მესაკუთრებს, შეიძლება რამოდენიმე წელიწადი გავიდეს კიდევ, სანამ ეს კანონი ცხოვრებაში გატარდება ბოლომდის. თუ ამ რუსული მოუთმენლობა გამოიჩინოს ჩვენმა გლეხებმა, მაშინ ბოლშევიკები დაასხდებიან კისრებზე და წაერთმევათ ისიც, რაც აქვთ.

სოციალიზმი ასე ნაუცბათევით არ შენდება. ბოლშევიკებისთანა სიჩქარე არავის არ გამოუჩენია ამ საქმეში. მოსკოვში რუსეთის კაპიტალიზმი სულ ორიოდ თვის განმავლობაში ახლა კი შესჩერებთან მთელი ქვეყნის კაპიტალისტებს — მოდერნიზაციის მოტივით თქვენი ფული, ცოდნა, აგერ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე და აკეთეთ, რაც გინდათო. თუ მოვლენ, რა თქვან უნდა, ბოლშევიკებს ისინი არ დაემორჩილებიან, თან მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობა მათი ჯიბიდან ხელს უშობს, მაგრამ ამოძვრება დენიკინი. იქამდის შორიდან ეხმარებოდნენ ახლა, შეიძლება თან გამოიყოლონ.

ბოლშევიკებმა გააძევეს დენიკინი კარებიდან, ახლა ადვილი მოსალოდნელია, რომ ის შემოეპაროთ ფანჯრიდან. ამიტომ არ გვინდა ჩვენ ბოლშევიკობა, თუ გავგიტაცა, უფსკრულს ვერ გადავრჩებით.

აქ მოსული სტუმრები არ მოერადებიან არავითარ ღონის ძიებას აქაური მშრომელი ხალხის გასატაცებლათ. ღია ასპარეზე ჩვენ არ დაუშლიათ მუშაობას. დანახვონ კი ხალხს თავისივე გაზეთის საშუალებით, რომ რუსეთში ბედნიერათ ცხოვრობენ. თუ ეს მართალი გამოდგება, ჩვენ არ გადავედობებით წინ. თუ ისინი უკეთეს ცხოვრებას მოგვიწყობენ, სიამოვნებით მივიღებთ მათ მართვა-გამგეობას.

მაგრამ ჩვენ სწორეთა გაზეთების და საზოგადოთ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით შევავნებინებთ საქართველოს და რუსეთის მუშა-გლეხობას, რომ აქაური წესწყობილება სჯობია იქაურს. მაშინ აქ ვეღარას განდებიან მოსული სტუმრები და უკან დაბრუნდებიან. რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება.

ს. დევდარიანი.

ჩვენი ჯარის კაცი.

ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, შემოვიდა ჩემთან; — ჭრილობისაგან მარცხენა ხელი მოდუნებული ჰქონდა.

- სად დაგჭრეს? — ვეკითხები.
- ზესტრიაში.
- კაცო, ავსტრიაში რა გინდოდა?
- ნიკოლოზმა გამაგზავნა; მე ვინა მკითხა? ბრძანებდა ხელმწიფე და ეს ამოდენი ხალხი მიდიოდა, იბრძოდა, სისხლსა ღვრიდა, იხოცებოდა ცხრა მთას იქით.
- რათა, რისთვის? — უმეტესობამ არ იცოდა.
- ხელმწიფემ ასე ბრძანაო, მორჩა და გათავდა!
- კარგი და პატიოსანი. იმან ბრძანა, მაგრამ შენ რაღა ასრულებ ბრძანებას?



მოხსენება რაზმის უფროსს ადერბეიჯანის ფრონტზე. ნან. კ. ჭავჭავაძისა.

— „რა აღხეინათ ლაპარაკობ! დედიშენის შვილი იქნეოდა და არ ასრულებდი: ან დაგზვრეტდნენ, ან ციხეში დაგალობდნენ!

რა გამოდის მერე აქედან? გამოდის ის, რომ ამოდენა ხალხს შიში მიერეკებოდა ცხრა მთას იქით სისხლის დასადგრვლათ.



გენერალულ შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე.

ავსტრიისა ან გერმანიის საზღვარზე რა დაჰკარგვია ჩვენებურ ადამიანს, რომ იმ სიშორეს გადიკარგოს საბრძოლველათ!

მიუხედავათ ამისა ის მიდიოდა და კარგადაც იბრძოდა, თუმცა შიში აბრძოლებდა.

ჩვენს ჯარის კაცს დღეს რა უნდა აბრძოლებდეს? შიში?

არა და არა!

ჩვენი ჯარის კაცი, რომელიც იტყვის: დიად, მეშინიან სასჯელისა და ამიტომ ვიბრძვიო, უღირსი ადამიანაა, შეუგნებელი.

ჩვენი მთავრობა ცხრა მთას იქით ჰგზავნის ჯარის კაცს? ჩვენი მთავრობა სხვის ქვეყანას იპყრობს?

ჩვენი მთავრობა მხოლოდ ჩვენს სამშობლოს იცავს, ყოველი ჩვენი ჯარის კაცის სახლკარს, საცხოვრებელს, დედამას, ცოლშვილს.

სამშობლოს დაცვა ყოველი ადამიანის წმინდა მოვალეობაა, რადგანაც სამშობლო ყველასათვის ძვირფასია, ყველასათვის საყვარელი.

ჩვენი ჯარის კაცი იბრძვის მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენს სამშობლოს მტერი ესხმის თავს.

მაშ რა აბრძოლებს დღეს ჩვენს ჯარის კაცს?

სამშობლოს სიყვარული და არა შიში.

რათ უნდა გვიყვარდეს სამშობლო?

განა ესეც საკითხავია?

იმიტომ რომ

„ისა გვზრდის, გვივლის, გვატრონობს, გვისტუმრებს შორის გზაზედა.

სიკვდილის შემდეგ მშობლურათ ის მოგვიხუტებს გულზედა“.

იმიტომ რომ

„სამშობლო, დედის ძუძუთი არ გაიცვლებს სხვაზედა“.

ორივ ტკბილია, ძმობილო,
მირჩენის ორთავ თვალზედა“.

იმიტომ რომ

„როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა“.

და რამდენი ერთი ჩამოვთვლო!

თუ ჩვენი ჯარის კაცი გაუბრბოდა სამხედრო სამსახურს
წინეთ, ხელმწიფობის დროს, ეს კიდევ ჰო: სამშობლოს მო-
შორება და გადაკარგვა, მეორე და მესამე სახელმწიფოში ჩხუ-
ბის ატება ეძნელებოდა.

დღეს კი ყოველი ჯარის კაცი, რომელიც სამსახურს
გაუბრბის, ჩასაქოლავია, რადგანაც ის არის ორგული და მო-
ლალატე თავისი სამშობლოსი.

„ორგული და მოლალატე
ჰხამს ლახვრითა დასაქრელათ“.

სამშობლოს მოლალატე არავითარი გამართლების, არა-
ვითარი შებრალების და პატიების ღირსი არ არის.

ჩვენმა ჯარის კაცმა სახელი დაიმსახურა ნიკოლოზის ხე-
ლში, როდესაც შიშით იბრძოდა და არა გულით.

დღეს კი, როდესაც ის გულით, სიყვარულით იბრძვის,
რადგანაც იცავს თავის სამშობლოს, ქვეყანა უნდა გააკვირვოს
თავისი გამირობით.

რა სჯობია კარგ სახელს!

ტყუილათ კი არ არის ნათქვამი:

სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა.

აი დედასა! უწინდელ დროში ჩვენი სამშობლო თავისუ-
ფალი იყო. როგორც დღეს.

და ჩვენს ჯარის კაცს მაშინ მთელს ღუნიაზე ჰქონდა სა-
ხელი გავარდნილი თავისი გამირობითა და ვაჟკაცობით.

მაშინაც ჩვენი ჯარის კაცი სხვას არ ესეოდა და არ
იკლებდა. ის ყველას ეუბნებოდა; ვიცხოვროთ მეზობრლოურა-
თა და სიამტბილათო.

და თუ მტერი შემოესეოდა საქართველოს, მოგვცათ
ღეთის წყალობა, მას დღე დაადგებოდა:

ჩვენი ჯარის კაცი, სხვა დროს მშვიდობის მოყვარე და
კეთილი, გააფთრდებოდა და გალომკაცდებოდა.

მომხდარა ზოგჯერ, თითოზე ოცი და ოცდაათი წამოსუ-
ლა, მაგრამ მაინც ჩვენებს გაუმარჯვნიათ.

რატომ?

იმიტომ რომ ჩვენი ჯარის-კაცი თავის სამშობლოს იცავ-
და, მართალ საქმეს, საყვარელ საქმეს ემსახურებოდა და ეს
აძლევედა იმის გულსა და მკლავს სიმაგრეს.

ჩვენი ძველი ჯარისკაცები რომ ასეთები არ ყოფილიყვ-
ნენ, ერიპა! აქამდინ ჩვენი სახსენებელიც ვერ მოატანდა.

იმდენი მტერი გვესია გარეშემო, რომ აქამდინ ან ერთი
მოგვესობდა, ან მეორე, ან მესამე.

მაგრამ ვერავინ მოგვესო, ისევე აქა ვდგევართ და ისეთ
რესპუბლიკას ვაშენებთ, რომ ყველას ზედა რჩება თვალი!

ჩვენც ყველას ვეუბნებით, როგორც ჩვენი ძველები:
ვიცხოვროთ მეზობრლოურათა და მეგობრულათო.

მაგრამ რას იზამ, რომ იმ დალოცვილ ღმერთს ჩვენს გა-
რეშემო ბევრი ოხერ-მოხერი და უბირო დაუსახლებია.

რაც იმათ ჩვენგან წაიღონ, ოჯახში დაიკვებონ!

თუ ჩვენი ძველები იჩენდნენ ვაჟკაცობას, როდესაც სა-
მშობლოს მტერი შემოესეოდა, ჩვენც იხვეწათ ვაჟკაცობა
გვმართებს.

დღევანდელი დრო იმითია კარგი, რომ ვაჟკაცობისა და
სახელის მოხვეჭის დრო არის.

დღეს ჩნდება, ვინ არის ვაჟკაცი და სამშობლოს ერთ-
გული;

ვინ — ლაჩარი და ნაცარქექია.

წინეთ — მეფის დროს — ჯარის კაცს კიდევ შეეძლო
ეთქვა: ეჰ, გიჟი ხომ არა ვარ, რისთვის, ან ვისთვის ვიბრ-
ვიო.

დღეს არც ერთ ჩვენ ჯარის კაცს ამისი თქმა არ შეუ-
ლიან.

მან იცის, რისთვის იბრძვის, — მუშებისა და გლეხებისათვის
იცით, წინეთ ვისთვის იბრძოდა ჩვენი ჯარისკაცი?
მეფისათვის, მდიდრებისათვის, თავადებისათვის.

დღეს ჩვენში აღარც მეფეა, აღარც თავადი.

მდიდრები არიან, მაგრამ მათი ქონება ნელა-ნელა გა-
დადის მშრომელი ხალხის ხელში და დღეს მთელი საქართვე-
ლო სწორეთ მშრლმელი ხალხის, — მუშებისა და გლეხებისა
ხელშია.

როგორ, რა ნაირათ?
იმნაირათ, რომ დღეს მთელს საქართველოში არჩევნები
კეთდება ყოველი საქმე — საქვეყნოც, სასოფლოც.
არჩევნები მეფის დროსაც კი იყო, მაგრამ იცით როგორ
იყო?

ერთ თავადს ჰქონდა ერთი ხმა;

სამას გლეხსაც ჰქონდა ერთი ხმა.

დღეს კი, უკაცრავად, — ჩვენში ასე აღარ გახლავთ. ყვე-
ლას თითო ხმა აქვს და რადგანაც მუშები და გლეხები ყვე-
ლაზე მეტია, ამიტომ ჩვენში ისე კეთდება ყოველისფერი
როგორც ჩვენს მუშებსა და გლეხებს უნდათ.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ არგვეთელი სამხარაძე რა-
საც მოისურვებს უსათუოთ ის უნდა გაკეთდეს, —

რასაც მთელი საქართველოს მუშები და გლეხები მოი-
ლომებენ, ის გაკეთდება.

აქედან ცხადია, რომ საქართველო დღეს მუშებისა და
გლეხების სამშობლოა და ყოველი ჯარის კაცი, რომელიც
არ არის ერთგული სამშობლოსი, ის მტერია მუშებისა და
გლეხებისა.

ყოველი ჩვენი ჯარისკაცი, რომელიც ჰლალატობს სა-
მშობლოს, ამით ჰლალატობს მუშებსა და გლეხებს.

ჩვენში მუშებისა და გლეხების დღე თენდება. ცხოვრე-
ბა მუშების და გლეხების საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ
ეწყობა და ამისთანა დროს ვინ უნდა იყოს მტკიცე დარაჯი
მუშებისა და გლეხების ბედისა? მთავრობა და ჯარისკაცი.

ჩვენს რესპუბლიკას ჰყავს ღირსეული მთავრობა.

მას უნდა ჰყავდეს ღირსეული ჯარისკაციც.

ივ. გამართელი

ჯარის კაცის მამას.

III

ჩემო მეზობელო ბეჟან!

შენ იწერები: როგორც ჩემი შვილის წერილიდან სჩანს, დღევანდელ ჯარშიაც ისეთივე მკაცრი დისციპლინა ყოფილა: როგორც იყო წინანდელ ჯარში და თანაც მეკითხები: რაღა განსხვავებაა ნიკოლოზის დროის და დღევანდელი დროის ჯარის კაცთა ცხოვრებაში?

განსხვავება ერთობ დიდია, ჩემო ბეჟან. მაშინდელი ჯარის კაცი მოძრაობდა და მოქმედებდა იმის შიშით, რომ დამარტყამენ და მეტყინებო. და სადაც არ იყო ეს შიში, იქ არც მოვალეობის შესრულება იყო.

ასეთი თვისება ჰქონდა ძველი რეჟიმის ჯარისა და მთარახის დისციპლინას. დღევანდელ ჯარის კაცს კი ამოძრავებს მოვალეობის შეგნება და კანონი. ასეთი თვისების გახლავს, ჩემო ბეჟან, დღევანდელი დროის შეგნებული დისციპლინა.

გარდა ამისა, წინეთ თუ ჯარის კაცს წიგნის წაკითხვას უკრძალავდნენ ყაზარმაში, დღევანდელი მთავრობა მათ თვითონ უგზავნის წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს წასაკითხათ.

წინეთ თუ ჯარის კაცს უფლება არ ჰქონდა თეატრში შესულიყო, დღეს მთავრობა თვითონ უწყობს მათ ყაზარმებში თეატრებს, სკოლებს და უნივერსიტეტებს.

რატომ?

იმიტომ, რომ დღევანდელი ხალხური მთავრობა დაინტერესებულია ხალხის განვითარებაში.

წინანდელი მთავრობა არ უშვებდა ხალხში და ჯარებში სინათლეს.

რატომ?

იმიტომ, რომ იცოდა: შეგნებული ხალხი და ჯარი უფრო ადვილათ შეამჩნევდა უსამართლობაზე და მყარებულ წესწყობილების მავნებლობას.

დღევანდელი დემოკრატიული მთავრობა კი სცდილობს, რაც შეიძლება მალე შეიტანოს მათში შეგნება-განვითარება.

იმიტომ, რომ იცის: რამდენადაც მეტათ განვითარებული ეყოლება მას ხალხი და ჯარი, იმდენად უფრო კარგად მიხედებიან და შეიგნებენ დღევანდელ ხალხურ წესწყობილებისა და ჩვენი დამოუკიდებლათ არსებობის საქროების აუცილებლობას და უფრო მედგრათ დაიცავენ რევოლიუციის მონაპოვართ.

ტ. ართმელაძე.

ოსების ამოძრავებაზე.

(მასწავლებლის საუბარი ჯარის-კაცებთან).

მამულიშვილნო, იმ დროს, როცა სასწორზეა დადებული ჩვენი ქვეყნის ბედ-ილბალი, როცა წყდება ადერბეიჯანთან ომისა და ზავის საკითხი, როცა ჩვენი ჯარი და გვარდია, ამ გულის მუშაობის დროს მშვიდობიანს გუთანსა და თოხს მოწყვეტილნი, თავით-ფეხებამდე შეიარაღებულნი, გამარჯვ-

ბულის გამომეტყველებით სდგანან საქართველოს საზღვრებზე, რომ, თუ საქირო გახდება, კლავდნენ და მტრის თავზარდამცემი იერიშები—ქართლის შტაბ-ბინის შემოტევის ზურგში, უსარგებლნიათ რა ქართველ მამაკაცების ომში გასვლიათ, აჯანყებულან ოსები.


ვინ არიან ოსები? რა უნდათ ოსებს? რა აწყენია მათ საქართველომ, რომ ზურგიდან მახვილი ჩაგვცეს? ცოტა ვთქვათ რამე ამ კითხვებზე. საქართველოში ჩვენ ვიცით ოსები, როგორც შემოხიზნული ხალხი, გაფანტული ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზე პატარ-პატარა სოფლებად, მთებში სხვა და სხვა ადგილას; ცხოვრობენ მესაქონლეობით და აკეთებენ ყველას, რომელსაც თავისუფლად ჰყიდიან ჩვენს დაბა-ქალაქებში. ოსები მოსახლეობენ მთებში თბილისის, სურამ-ხაშურის, ჭიათურა-საჩხერის ახლო-მახლო. შედარებით უფრო მრავალ რიცხოვანია ოსობა გორის მაზრის ჯავის ხეობაში, ცხინვალის ჩრდილოეთით. ნამდვილი ოსეთი კი მდებარეობს ჩრდილო კავკასიაში, სადაც კავკავი იმათ მთავარ ქალაქად ითვლებოდა, აქვთ სხვა ქალაქებიც: არღონი, ალაგირი. ისტორიაშიაც პირაქეთელ ოსებს არავითარი საკუთარი სახელი არ დაუტოვებიათ, არავითარი კულტურა არ შეუქმნიათ, ასე რომ საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი და დასახლებული ოსობა ეს ერთგვარი მშვიდობიანათ გადმოძალეებული ელემენტი, რომელსაც ნამდვილ მასპინძლობამდე ბევრი უკლია. რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობის დროს ოსები ცნობილნი იყვნენ თავის ბნელი ძალებით, რომელთაც „სტრაჟნიკების“ და, მთავრობის მამასახლისების“ სახელით—უეჭველია დღესაც უსიამოვნოთ იგონებს თავისუფალი საქართველოს ბევრი მოქალაქე.

რევოლიუციამ დაამხო ძველი მბრძანებლები და მათი მონა ოსები უპატრონოდ დასტოვა. მაგრამ საქართველოში მყოფ ოსებს ამით არაფერი დაშავებიათ. დიდი სიყვარული გამოიჩინა მათდამი საქართველოს მშრომელი ხალხმა, ზომაზე მეტიც. ქართველ მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწები ოს გლეხებს მისცეს, იმ ოს გლეხებს, რომელთაც მცირე გამონაკლისს გარდა, საქართველოს დასაცავათ თითიც კი არ გაუნძრევიათ. მათვე მიიღეს ყველა ის სიკეთე, რომელიც დემოკრატიულმა წყობილებამ საქართველოს ხალხს მოუვლინა. მაგრამ ოსები მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ. ვერ მოიგო საქართველომ იმათი გული! რა უნდოდათ ოსებს?...

ჩვენ ოსების გარკვეული მოთხოვნილება არ გვსმენია, მათ გაზეთები არ აქვთ, რომ გვამცნონ რამე. რა უნდათ? ... კაცმა არ იცის.


ისინი ხან ბოლშევიკებს ელაქუცებიან, ხან დენიკინს ეგებიან შონურად ფეხ-ქვეშ, ხან ოსმალეთის მოკავშირედ ვხედავთ, ხან ლეკების, ხან ადერბეიჯანელ თათრების, არასოდეს კი ამ რევოლიუციის ხანაში მათ საკუთარი ოსური კულტურული სიტყვა არ უთქვამთ, არც ცდილან, რომ ეთქვათ. ცხადია, თუ ნამდვილი, ჩრდილო-კავკასიური ოსეთი არ ისახავს ასე დიდ მიზნებს, მით უმეტეს საქართველოს მთებში ჯერ კიდევ თითქმის ველურ მდგომარეობაში მყოფი ოსები ამაზედ ვერც კი იოცნებებენ, რადგანაც ეს იმათ შეგნებას აღემატება.

უნდათ ოსებს თავისუფალი კულტურული განვითარება? საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გავლენიანი



მიწის ძვრისაგან დანგრეული სახლი.

ნახატი კ. ქავთარაძისა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიწის ძვრისაგან დანგრეული ციხის ბურჯი.

ნახატი კ. ქავთარაძისა.


ჯგუფები, მთელი კონსტიტუცია ჩვენი სახელმწიფოსი, ამის სრულ შესაძლებლობას აძლევს მათ.

მაგრამ ამისთვის ოსებს ხელი უნდა შეეწყოთ საქართველოს ახალ წყობილების ჩამოყალიბება—განმტკიცებისთვის. ჩვენ კი სულ სხვას ვხედავთ: როცა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველოს ბათუმის მხრით შემოესია ოსმალეთი—ადერბეიჯანმა და სომხეთმა პილატესავით ხელის ბანა იწყეს და ქართველობა დარჩა მარტო-ოდენ პირდაღებულ ვეშაპ ოსმალეთის წინ—ოსებმა დახმარების ნაცვლად, იარაღით დაგვიწყეს ზურგიდან ბრძოლა... როცა ბოლშევიკური რუსეთი ცდილობდა ჩვენი საზღვრების გადმოლაზებას და ჩვენი „ჭკუის სწავლებას“, ოსებმა მოგვიწყვეს აჯანყებები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ვის არ ახსოვს ცხინვალის მიდამოებში ქართველი რევოლუციონერების მაჩაბლის, კეცხოველის და სხვ. მხეცური მოკვლა-დასახიჩრება ოსების მიერ? ვის არ ახსოვს საჩხერის შემადრწუნებელი ამბები?... მოახლოვდებოდა თუ არა რუსეთის რეაქციონური ძალები—ოსებიც წამოყოფდნენ თავს და დგებოდნენ იმათ მხარეზე, რომ როგორმე დაემხოთ საქართველო.

საქართველოს კი ყოველთვის ჰქონდა იმდენი ძალა, რომ ოსები აელოგმა. ნათქვამია, „აქლემი ისე არ დასუსტდება, რომ ვირის ოდენა საპალნე ვერ აიკიდოსო“. ცოტა ვართ ქართველები, მაგრამ ოსებზე მაინც ბევრათ მეტნი ვართ. მხოლოდ ჩვენ გვინდოდა თვითონ მოსულიყვენენ გონს ოსები, შეენანებიათ დანაშაული; ბნელი ხალხია, ვფიქრობდით, პროვოკატორებმა აიყოლიეს და შესაბრალისნი არიანო. იმიტომ იყო, რომ ოსებს ადვილათ ჩაუარა იმ სამტრო გამოსვლებმა, რომელიც მათ საქართველოს დაღუპვის მიზნით მოახდინეს რამდენჯერმე... ისინი კვლავ დარჩნენ ისეთივე

სრულ უფლებოვან საქართველოს მოქალაქეებად, როგორათაც ჩვენ გვინდა ითვლებოდეს და ნამდვილათაც იყოს ყოველი მცხოვრები ჩვენი რესპუბლიკისა.

მაგრამ, როგორც ხედავთ, ჩვენ მწარედ მოვსტყუვდით. მე მეხატება ასეთი სურათი: ერთ მშრომელ მეოჯახეს, რომელსაც გაწყობილი ჰქონდა თავისი ჭაბან-წყვეტით ასე თუ ისე თავის სახლ-კარი და ეზო-გარემო, მიაღვა გზა-აბნეული შიმშილით გაძვალტყავებული უცხოელი გლახაკი მოწყალეების სათხოვნელად. მასპინძელმა მიიღო ეს გლახაკი კაი სტუმარივით, გაათბო, გაბანა, ავაშშმა და თბილი ბინა მიუჩინა თავის სახლის ერთ კუნჭულში, მეორე კუნჭულში კი თავის ცოლ-მეფლით მოისვენა.



მიწის ძვრისაგან დანგრეული სახლი ხიდისთავში.

ნახატი კ. ქავთარაძისა.


გავიდა ერთი დღე, ორი დღე, სტუმარს გაუტკბა ამ სახლში ყოფნა, და მასპინძელიც არას ამბობდა, ითმენდა ისიც; ეგონა, დამეხმარება ეს უთვისტომო ადამიანი, მიწა ბევრია ირგვლივ ღვთის მოცემული და თვით იშოვნის თავის სარჩოსაო. მაგრამ მეთაურობა კვლავ მასპინძელს ეჭირა, სახელი მისი განთქმული იყო შორს, როგორც მშრომელის, პატიოსანის, შეძლებულის, გულკეთილი მეოჯახისა... ამ გლახაკს შეშურდა თავისი კეთილის მყოფელის სახელი, მან თვითონ მოინდომა მის სახლ-კარზე გაბატონება, მისი ცოლ-შვილის ხელში ჩაგდება, მაგრამ რამდენჯერაც სცადა ამის სისრულეში მოყვანა, ყოველთვის ჩაეშლებოდა ხოლმე. ხან მასპინძელი ფხიზლობდა, ხან ცოლი, ხან შვილი. რა დარჩენოდა გლახაკს? ის უცდიდა მოხერხებულ დროს... ერთს ბნელ ღამეში შეიქმნა ამ სახლის ირგვლივ თოფის სროლა და ყიჟინა, მუხის მაგარ კარებს ჩასამტვრევად მოადგნენ ავაზაკები..... მასპინძელი წამოვარდა ზეზე. თან აპყვა ცოლ-შვილი, სტაცეს იარაღს ხელი, გაამაგრეს კარებში ურდული, გადაწყვეს სათოფურებში თოფები და შეუდგნენ ავაზაკების მოგერიებას. მოჰკლეს ერთი ავაზაკი, დასჭრეს მეორე! მტრის ტყვიები მშუილ-მშუილით და ლაწა-ლუწით შემორბოდა სახლის ფანჯრებში და კედლებშიაც... ბეწვზე ეკიდა სახლში მყოფთა სიცოცხლე და კეთილ-დღეობა, ერთი მშველელიც დაუფასებელი იყო. ვაი-ვაგლახზე გამოღვიძებოდა შემოხიზნულ გლახაკს, თვალები ბოროტი ცეცხლით ანთებოდა, გულში გაველო უკეთურ ფიქრს: „ახლა ასრულდება, თუ ასასრულებელია ჩემი აზრებიო!“... წამოიჭრა ფეხზე, უნდოდა იარაღი ეპოვნა, რომ დაერტყა ზურგიდან თავის მასპინძლისთვის, მაგრამ იარაღი აღარ დახვდა, გაბოროტებული მივარდა აკვნის ბაეშს, ჩაართვა წიხლი, შემდეგ ბუხრიდან ნაკერცხლები გამოყარა, მიფანტ-მოფანტა ფიცრის იატაკზე და ცუცხლი გაუჩინა სახლს, თან დაუწყო ზურგიდან მებრძოლებს სროლა ქვა-საყურების, სკამების, კეცების..... ასტეხა ერთი ჭრიამული და შიგნიდან ხმა მისცა ყაჩაღებს:

„მაგრად მოსცხეთ, მაგრად, მე აქედან წაგებმარებით!“-ო გულზე ცეცხლი მოეკიდა სახლის დამცველებს: თუ მობრუნდებოდნენ უკან ცეცხლის ჩასაქრობად და გლახაკის ასალაგმავად, ავაზაკები კარებს შემომამტვრევდნენ და ყველას დაწყვეტდნენ. არა და, ეს მოლაღატე, უმადური გლახაკი ღუგუღა მთელ ოჯახს. ორ ცეცხლ შუა იყვნენ. მაგრამ არ დაიბნა მშრომელი მასპინძელი, მან ცოლ-შვილს გადასძახა: „უკან ხელები გაუკარით მაგ წუნკალ გლახაკს, ცეცხლი ჩააჭრეთ, მანამდის კი მარტო მე გაფუმკლავდები ამ ღვთის უარ-მყოფელ ავაზაკებსაო“ მართლაც გაათრებული ცოლი და შვილები მისცივიდნენ გლახაკს, დაიმორჩილეს, და ნადირობით გაკოჭვილი მიაგდეს კუნჭულში, ცეცხლი ჩააქრეს, თითო წიხლი ჩასცხეს გლახაკს და კვლავ გაეშურნენ მამათან მისაშველებლად...

ვერ მოესწრებიან ავაზაკები მისი კარების შემტვრევას, ვერ ეღიბება ჭკუა-დაბნელებული უმადური გლახაკი თავის ვენაზრახეების განხორციელებას!...

თქვენ მიხვედრილი ხართ: ეს კეთილი მასპინძელი არის ვინი ქვეყანა — საქართველო, შემოხიზნული უმადური გლახაკი კი — აჯანყებული, გათავებებული ოსობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიწის ძვრისაგან დანგრეული ძველი საყდარი.
ნახ. კ. ქავთარაძისა.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ ამ გლახაკის გასაგონად და, ვფიქრობ ამითი, თქვენი გულის ნადებსაც გამოვხატავ:

შესდგეს, თორემ ბნელში ჩავკეტო
უგბილობის უმადურ შვილს!
დაუნდობელ ხელით გავკვეთო
მოლაღატეს პირ-შემურვილს,
სიცოცხლის ძაფს მისას გავწყვეტო,
შევანანებო ბოროტ სურვილს...
ვერ ასცდება ასეთ შავ ბედს,
ვინც გულში ჰკვებს ჩვენ სიძულვილს...
არ შევარჩინო არც ერთ თავხედს
საქართველოს მოკვლის წყურვილს!..

სავლე აბულაძე.



მიწის ძვრისაგან დანგრეული ეკლესია.
ნახ. კ. ქავთარაძისა.

გოლშაჰიკების მოღვაწეობა ადერბეიჯანში.

საქართველოს დებეშათა სააგენტომ შემდეგი წერილი გამოამჟღავნა, რომელიც ჩინებულად ახასიათებს, თუ რა მოღვაწეობას ეწევიან ბოლშევიკები ადერბეიჯანში:

მოგვყავს ამ ბაქოში მყოფ ბოლშევიკის მონაწერი თბილელ ამხანაგთან:

„ძვირფასო არისტიდ, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, მე ჩინებულათ ვცხოვრობ. ერთი კია ცუდი, რომ ფულის გამოგზავნას ვერ ვახერხებ, რადგანაც აქ ქართული ფული არ იშოვება და თუ სადმე იშოვნი ძალიან დიდს მოგებას თხოვლობენ. ჩემი ამხანაგი მაინც შეეცდება გადმოგცეთ რამდენიმე ათასი. ამას მერე გადავცემ. ფული ბევრი მაქვს ადერბეიჯანისა და საბჭოთა რუსეთისა.

ძვირფასო არისტიდ, ფულის მიღებისთანავე უპირველესად იყიდე სახლისათვის ფქვილი, მონპასიე და ყოველგვარი სანოვაგე. ამას იმისათვის გწერ, რომ აქ ბაქოში, საბჭოთა მთავრობის გამოცხადების შემდეგ სანოვავის ფასებმა საშინლად აიწია. ერთ დროს ბაქოში პურიც აღარ იშოვებოდა და გირვანქაში 100—150 მანათს ვაძლევდით. მონპასე სრულებით გაჰქრა, ქიშმიში კი გირვანქა 250—300 მ. ღირს. ეს რომ ვიცი, გირჩევ ფულს ნუ დაზოგავ და ყველაფერს იყიდე, რადგანაც ვიცი, რომ დღეს თუ ხვალ მანდაც გამოცხადდება საბჭოთა მთავრობა, ამაში დარწმუნებული ვარ და გაუსაქან მდგომარეობაში არ ჩავარდე, შიმშილითარ ამოსწყვიტო ჩვენები და თქვენები, უმთავრესად კი ბიძაშვილები და მშობლები. კიდევ გეხვეწები რომ ყველაფრის თაღარიგი დაიჭირო.

თი კიდევ რა, ძვირფასო არისტიდ: ფართლელობას, პაპიროსს, ასანთსა და სხ. საბჭოთა მთავრობა რეკვიზიციით ართმევს ჯარისთვის და ამისი თაღარიგიც უნდა იქონიო. თუ რამ გაგაჩნია გასასყიდი, ახლავე გაჰყიდე, ბევრი ფული შეაქუჩე, ნუ დაგენანება და ყველა ეს საგნები შეიძინე. ფართლელობა აქ არშინი 1000—1100 მან. იყიდება, პაპიროსს—140 მან. კოლოფი, ასანთი—25 მან. თუ დენიკინის ფულები გაქვს ახლავე უნდა გაასალო, რადგანაც საბჭოთა მთავრობა მათ აბათილებს.

1920 წლის დასაწყისში მე კომუნისტთა პარტიაში ჩავწერე და დღევანდლამდე ამ პარტიაში ვიმყოფები, ამისათვის ვიცი, სად რას აპირებენ ბოლშევიკები. მუსავატების ჩამოგდების დროს დიდი ჩხრეკა-დაპატიმრება იყო, მთავრობის ზოგი წარმომადგენელი დახვრიტეს კიდევც.

აქ ჩვენი მთავრობა მომაგრდა, თუმცა კონტრ-რევოლიუციაც თავისი მხრივ ფხიზლად სდგას სადარაჯოზე, მაგრამ მას მთელის ძალღონით სდევნიან, ასე რომ ჩვენი ბატონობა უზრუნველყოფილია. ეხლა ჩვენ იმის ცდაში ვართ, რომ მივხედოთ და მივეშველოთ საქართველოსა და სომხეთის მუშებს და გლენებს. მე ვიცი რომ ეს ახლო მომავალში მოხდება. მე ეხლა ჩემს ხელობაზე ვმუშაობ ჩვენი გეგმეკორის კომისარიატში კონტროლიორად. სწორედ რომ გითხრა, მე როგორც პარტიული ამხანაგი თვალყურს ვადევნებ იმ საქმეებს, რასაც გარეშე პირნი გვიკეთებენ რომელთაც პარტიასთან საერთო არა აქვთ რა.

თვეში ათას თუმანს ვღებულობ. ვცხოვრობ რეკვიზიციით

ჩამორთმეულ. ყველაფრით მოწყობილ ოთახში, ფანჯრებქუჩის მხარესა აქვს. ერთი სიტყვით, მე ძალიან კარგათ მოვეწყე და, რათქმა უნდა, თუ კი საქართველოში მთავრობა შეიცვალა, უპირველესად მაშინ მე და რამოდენიე ჩემი ამხანაგი ტფილისში გავჩნდებით და მაშინვე მოვახდენთ რეკვიზიციას სტამბებისას, ქალაღდისას და სხვა.

თუ შენ უადგილოთ ხარ, ჩაწერე მბეჭდავთა კავშირში და შეიტყე ხომ არა აქვთ მათ კომუნისტების იაჩიკია. თუ აქვთ, მაშინვე იშოვნე რეკომენდაცია და პარტიაში ჩაწერე და თუ იმ დროისათვის მეც ჩამოველ, მაშინ დაგეხმარები და კარგ ადგილს მიიღებ. ფიქრი ნუ გაქვს, მე ჩინებულათ ვარ გამოწყობილი. არისტიდ, თუ შეგიძლიან, ამხანაგის ხელი გამომიგზავნე ერთი გირვანქა თამბაქო ან პაპაროსი, სხვა არფერი არ მაკლია.

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა ადერბეიჯანს!

შურა..

სკაუტები ტფილისში.

1917 წ. აგვისტოში პირველად სკაუტების გუნდ ტფილისში შეადგინა პეტროგრაღიდგან ჩიმოსუღმა სკაუტ დ. ლუტკოვსკიმ. ახალმა იდემ ჩქარა მიიზიდა თანაგრძობ ბელნი, და ახალგაზრდობა დიდი სიამოვნებით ეწერებო სკაუტთა გუნდებში. მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოიპოვებო გამოცდილი ხელმძღვანელ — ინსტრუქტორები და ეს გრემოება ძალიან ხელს უშლიდა საქმის მოწყობას და განვთარებას. მიუხედავათ ამისა, ჩაყრილი საძირკველი არ დაიგრა და ამ საქმის შედეგი ის გახლავთ, რომ იმ დროიდ დარჩა ერთად ერთი გუნდი, წოდებული „ოქროს ლილი“ შედგენილი 1917 წ. სექტემბერში სკაუტ კოჩკაროვის მიე ამ გუნდმა იმით გაითქვა სახელი, რომ მოგვცა გამოცდილი ინსტრუქტორები და სკაუტები, რომლებმაც ყველა ძალღუნე იხმარეს, რომ ეს საქმე არ მომკვდარიყო. მართლაც, ამანერგიული მუშაობა უბრალოდ არ დაიკარგა და ტფილისში შესდგა ოთხი გუნდი. ამ ჟამად ტფილისში 400 სკაუტმა არის, რომელიც შეერთდა ამ სახელწოდებით „ტფილის ადგილობრივი კავშირი“.

სკაუტის სისტემის უმთავრესი პირობა — მთელი ქვეყნის სკაუტების ძმობა და მეგობრობაა და განუსაზღვრელი თანგანწირვა და დახმარება ყველასათვის.

სკაუტათ შესვლა შეუძლია ყველას, 12—18 წლამდე მიუხედავათ სქესისა და ეროვნებისა, მხოლოდ საქიროა მშობელთა სურვილი და ნებაართვა.

სკაუტიზმის იდეების პროპაგანდისათვის ახლო მომავალში განზრახულია ლექციების კითხვა, რომლის საშუალებით საზოგადოება გაეცნობა სკაუტიზმის საქმეს.

სასურველია აგრეთვე ფართო დახმარება მასწავლებლებისა, რომლებმაც უსათუოდ უნდა იცოდნენ, რომ სკაუტები მოძრაობის საშუალებით, შესძლებენ მოახდინონ საუკეთესო გოვლენა მოზარდე თაობაზე.

ა. კ — ლი.

ფრონტიდან.

იენისის მ ტფილისიდან გვეწვიენ ძვირფასი სტუმრები ლაშქრისათვის საჩუქრებით.

მათ, ალბად, ამ მგზავრობამ დიდი გაჭირვება და უსიამოვნება მიაყენა, რადგან ექვსი დღე და ღამე განუწყვეტლივ წვიმს და წელზე ტალახია გაუვალი.

მაგრამ მათ დაკისრებული საქმე ჩინებულად შეასრულეს. საჩუქრების დამრიგებელ კომისიას სათავეში უდგა ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ს. მ. ყორჟოლიანი, კომისიის წევრებად იყვნენ ვაჭარ-მრეწველების წარმომადგენელი ცნობილი ბ. ნ. თავდგირიძე, ბ. გ. ანდლულაძე; ქ. ქ. ქავთარაძის ასული, თარხნიშვილის ასული და ანდგულაძის ასული. საჩუქრები ბლომად და მშვენიერებია- მეტია ამაზე ლაპარაკი, თუ რამდენი სიამოვნება და კმაყოფილება გამოიწვია მახლობელთაგან დაშორებული და მოწყვეტილი მთელი სპის (ლაშქრის) ოფიცერთა და ჯარის კაცთა გულში; ყველაფერში ემჩნეოდა, ყველა გრძობდა ჩვენი ღვიძლი დების და ძმების ჩამოსვლას, რომლებიც მოგვევლინენ ხალხის და ლაშქრის შემაერთებელ ძადად.


ჯერ კიდევ მათ ჩამოსვლამდე ჩვენ გაგვამხნევა პრესაში აღძრულმა აგიტაციამ ფრონტის დღის მოწყობის შესახებ. და აი, როდესაც ჩამოგვივიდა საჩუქრები, მაშინ ყველა ჩვენგანმა იგრძნო, რომ ხალხი ჩვენთან არის, რომ ომი რომელიმე კერძო პირის გამოგონილი ავანტიურა არ არის, რომ ეს არის სამშობლოს საკეთილდღეოდ ხალხის მიერ ჯარზე დაკისრებული წმინდა მოვალეობა.

ლაშქარი ძლიერია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს კავშირი ხალხთან, როდესაც ლაშქარი ასრულებს მას, რაიც სურს ხალხს. და აი ყველაფერი ეს იყო აღბეჭდილი და ხაზგასმული ჩვენი სტუმრების ჩამოსვლაში, აი ამან გამოიწვია ყველა ჩვენთაგანში ღრმა კმაყოფილება და უზომო სიამოვნება.

სხვათა შორის ბატონმა თავდგირიძემ მხედრებისადმი მიმართვაში სთქვა, რომ იგი ნათლად ჰხედავს ყველა ჩვენს შევიწროვებას და მასთან ერთად სწუხს, რომ განგებამ მასაც არ არგუნა ყოფნა ჩვენთან ამ დიად პატივ-საცემ როლში, რომელიც გამოიხატება სამშობლოს დაცვაში.



იერიში ქვეითა ჯარისა ადერბეიჯანის ფრონტზე
ნახ. კ. ქავთარაძისა.



ბანაკი ადერბეიჯანის ფრონტზე.
ნახ. კ. ქავთარაძისა.

ბატონ თავდგირიძეს გულწრფელობა ჩვენთვის ნათელი და გასაგებია და როგორ არ ვიყვეთ სულით ძლიერნი, როდესაც ვგრძნობთ, რომ ზურგში მყოფნი ჩვენთან ერთად არიან! ჩვენმა სტუმრებმა დარიც მოგვიტანეს: ექვსი დღის გამუდმებული წვიმა მათი მოსვლის ნახევარ საათის წინ გადილო. დღეს გამოდარებულა. მზემ მთა-გორი უხვი სნივებით მოჰფინა, ჩვენ ვშრებით, ვლაგდებით და შემდეგ შეუდგებით ჩამოტანილ სხვა და სხვა ტკბილეულობით პირის ჩატკარუნებას და მოტანილი თუთუნით გაკეთებულ პაპიროსებიდან ბანაკიდან ღრუბლებივით კვამლს აუშვებთ.

ღიახ, ეს დღე ჩვენთვის მართლაც დღე იყო! არის შემთხვევა, როდესაც სიკეთისა და კარგ საქმისათვის მადლობას ვერ გადუხდით, რადგან განებივრებული და მოალერსებული ადამიანი ჩვეულებრივი სიტყვებით ვერ გამოხატავს ამას: ყველა თქვენ, ვინც შრომა მიიღეთ ან შემოსწირეთ რამე ჩვენთვის, ამით გაგვამაგრეთ და გაგვახალისეთ და ეს თქვენთვის უფრო მეტია ჩვენს მადლობაზე

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს. დეე, აყვავდეს ჩვენი რესპუბლიკა!

№ ლაშქრის უფროსი, პოლკოვნიკი ჩხეიძე.

ლია წერილი

მეშვიდე პოლკის საგულისხმოდ.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი ამით აცნობებს მეშვიდე პოლკის შემადგენლობას, რომ კომიტეტმა იმ მიმართულებით, სადაც მეშვიდე პოლკი იდგა, საჩუქრები გაგზავნა მეომართა იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც მას ეცნობა გენერალურ შტაბისაგან, რომელმაც ვერ ივარაუდა წინდაწინ, რომ მეშვიდე პოლკი ერთი ადგილიდან მეორეზე იქნება გადასროლილი, ხოლო საჩუქრები გაგზავნა მეომართა იმ რიცხვს, რომელიც მეშვიდე პოლკის მოსვლამდე იმყოფებოდა ფრონტზე, რის ოფიციალური საბუთები საქმეებში აქვს კომიტეტს.

ხოლო რაც შეეხება მეშვიდე პოლკს—მისი ახლანდელი დაბანაკება გამორკვეულ იქნება და საჩუქრების დანაკლისს მიიღებენ მეომართა რაოდენობის მიხედვით.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.

წინ, წინ მედგრად!

მტერთა გროვა გარს გვარტყია,
ჩვენს დამხობას ლამობს სრულად.
გულს ქრილობა თუმც გვატყვია,—
კვლავ წინ და წინ გაბედულად.

* * *

ჩვენ აქ ყოფნა რაღათ გვინდა
თუ სამშობლო დავიკნება!?!...
მაშ, დავიცვათ წმიდათ წმიდა!..
გვინათებდეს გზას შეგნება!

* * *

ძნელი არის გზა სავალი:
ეკალ-ბარდი გვაიარებს.
ხომ ჩვენია მომავალი?!
ჩვენით ტურთა გაიხარებს...

* * *

დედის ძუძუ უხამი იყოს,
არც გვეხუროს თავზე ქული.
ვინც ძმის ტანჯვა არ გაიყოს,
და ნაბიჯი გადგას მრული!

* * *

სულ ერთია: ხომ მოვკვდებით,
და სახელად ის დაგვრჩება,
რომ სამშობლო ჩვენს მკერდით
გალამაზდ-აყვავილდება.

* * *

მაშ, თოფს ხელი! მარჯვეთ ხმალი!..
ვინც მტერია—შეეხდეთ მტრულად.
მოვიხადოთ ჩვენი ვალი...
კვლავ წინ და წინ შეგნებულად!

* * *

განთიადი ახლოვდება...
სადარაჯოს ფრთხილად თვალი!..
და შობელი თუ აღსდგება,—
მას მოხმარდეს ჩვენი ძალი!

* * *

ფრთხილად! რაღაც ხმაურია...
ორგული არ მოგვეპაროს...
ვისაც ბრძოლა სწამს, სწყურია,—
მტრის გული არ გაახაროს!....

* * *

მაშ, სამშობლოს სანეტაროთ,
დატანჯულთა საამებლოდ,—
წინ, წინ! დროშა არ დაჰხაროთ!..—
წინ, გავსწიოთ! წინ, წინ მედგრად!

დ. მეჩონგურე.

ეროვნული
ჯიბლიოთეკა

ვფიცავ გმირთ სალოცავებსა,
ვფიცავ მზესა და მთვარეს,
ვფიცავ სამშობლოს სიცოცხლეს
და ღიმილს ჩემსა მწარესა,

რომლითაც ბედნიერი ვარ
სხვათა გულში და თვალებში,
რომლითაც მუდამ სხვას ვატკობ
თავად კი ცრემლის ღვარებში

ვიბრჩობი, გული მიკვდება
განა ავადი, სნეული:
უჯიშო ხალხის ზვარაკი,
მათ უჯიშობას ჩვეული;

რომ სულ არაფრად ჩავადგებ
კერძო წუხილს და ვაებას,
ოღონც კი მტერი ცბიერი
სირცხვილის ბოძზე დაებას...

გუშინაც მწარე დილითა
ვიყავ ღიმილად ქცეული;
გაჰკვირდი მეტად, გაოცდი,
სთქვი არ არისო ძლეული.

მაგრამ ჩემ ღიმილ-სიცოცხლეში
იცი რამდენი უხამია?!
ოჰ, ბევრი, ბევრი! იმდენი
ლუკმა არ შემიჭამია,

რავდენი სისხლიც ჩადვრილა
ჩემს გულში, ჩემო ძამია,
ჩემი ტკბილ-მწარე ღიმილი
უგულო ხალხის ქრთამია.

მაგრამ, იცოდე, ყველაფერს
სულ არ ჩავითვლი არადა,
ოღონდ ვხედავდე სამშობლოს
დღე მუდამ ესე მარადა:

მედგარს და ხალისიანსა,
მზისა და მთვარის დარადა,
მხოლოდ მტერს მოლაჩრებულსა
თავისვე გულში მკვდარადა.

მაშინ მეც სევდას გადავიყრი,
უფსკრულში ჩაშავბნელდება,
გამოიდარებს ჩემი ცა
და ტკბილად გამოითენდება:

შიო მღვიმელი.

ნოეს!

სალამი ჩვენს ერის მამას, სალამი მის თეთრ ჭაღარას!
მხე კიჟინი მტრების მიმართ, მის შორსმჭვრეტელ დაფ-
ნაღარას!

**

საქართველოს თვალის ჩინო, ჩემო მამავ, ჩემო ნოე!
მისთვის გაქებ და გადიდებ, რომ სიმართლე შენში ვპოვე,

**

საქართველოს ჩაგრულ ერებს შენ გაუხდი სასწაული,
მგერჯულ მტრისგან ანადგერი დაუმშვიდე ქართველთ გული,

**

მისთვის უფრო უყვარხარ ხალხს, თანაუგრძობ ყველა ერებს,
რა რჯულისაც უნდა იყვეს, ყველას უკმევ ძმურ ემბლემებს.

**

ვინც შეიშენებს, იას უფენ, ამ სამოთხისა ბაღში შლილებს,
ვინც არადა— პასუხს გავცემთ,— დაგვაღალე ერთგულ შლილებს.

**

და მიტომაც შენი შვილნი, შენგან წვრთნილი შენი ჯარი,
სალამს გიძღვნის წრფელის გულით, მტრის სამზღვრებზე
მედგრათ მდგარი..

**

თუმც გზა თავისუფლებისკენ შეგმოსვია ეკალ-ნარით,
მიგვითითე, ჩვენ შენ გიცდით, შენ გაზომე, ჩვენ გადავჭრით!

**

კვლავ შინაურ მტრებისაგან თავი ვერ დაგიხწევია,
მაგრამ ერის სადიდებლათ რწმენა კიარ შეგრყევია.

**

მიგვითითე, ვინ გმობს, ვინ გმტრობს, ვინც შელანძღოს
შენი აზრი,

**

ჯარის მამის ლანძღვისათვის, დავატეხთ შიშის ზარი.

**

სისხლს დავაქცევთ სათითაოთ, არ დაუთმობთ თავხედობას,
ძმა იყოს, თუ მამა იგი, გავალვივებთ მასზე მტრობას.

**

თუ მოქანცვა იგრძნო ამ გზით, ვერ იარო ეკალ-ნარით,
ჩვენ შენ გიცდით, შენთანავართ: შენ გაზომე, — ჩვენ გადავჭრით!

**

მაშ, სალამი ჯარის-კაცნო, სალამი მის თეთრ ჭაღარას,
მხე კიჟინი მტრების მიმართ, მის შორს მჭვრეტელს დაფ-
ნაღარას!

1-ლი ათას. ჯ.-კ. კ. თავბერიძე.

დედის ვერძილი

ქრონოლოგი
გიგლიოთიკა

ჩემო შვილო წერილს გწერავ
წრფელის გრძობითა,
სალამს გიძღვნი დედაშვილურს
დედურ ტრფობითა.

**

თან გისურვებ გამარჯვებას
უღირს მტერზედა,
მისი ფეხი არ გვანახოს
ჩვენს შთა-სერზედა.

**

შეანანეთ უგუნურსა
პირის გატეხა,
როგორ უნდა, დეე, იხილოს
ჩხუბის ატეხა!

**

ჩვენ ხომ არას ვედავებით
ჩვენ ჩვენთვისა ვართ,
მაშ რა უნდა რა მიზეზით
მოგვებტომია კართ

**

იქნება მაგას ეგონა
პასუხს ვერ გავცემთ,
ადრინდულათ, ძველებურათ
თავზარს ვერ დავცემთ?

**

დეე, ახლა მიხედეს, შვილო,
თავის შეცდომას
გაიგოს თუ რა მოელის
ვინც გაჰყიდის ძმას.

**

აბა, შვილო, რაღა გითხრა,
რა დაგაელო.
ვინძლო თქვენი გამარჯვება
შემომითვალოგო.

ი. გარსევანიშვილი.

ხელეპი.

გმირების ყიჟინი ტოროლას აღვიძებს!
სულს მიტკობს ხმლიანი ქართული ხელეპი!..
მომენტი და ომი საღ გრძობას აგიეებს:
სისხლით დავითვერით... სისხლში ვართ სველკები:
მაგრამ, როს გაბედეს უფლების შელახვა
უმანკო ქალწულის, ტურფა საქართველოს,—
დარწმუნდნენ, რომ ვიცით ჩვენ ფიცის შენახვა,
ნებას არვის მივსცემთ ვინმემ გადავთვლოს.

ინვალისი მისაკო სიღოშვილი.



ი ზ ი ბ ლ ე ჯ ი ბ ლ ე ჯ * *

შეიარაღდით!
თოფ-ქვეშ დადგეს ყოველი კაცი!
დღისით და ღამით სდარაჯობდეს
სამშობლოს საზღვრებს!
დაფნის გვირგვინი, ვინც ბრძოლაში
იყოს მამაცი,
ვინც შეანანებს ვერაგობას
დაუძინარ მტრებს?!

* *

იფხიზლეთ ყველამ!
ურდოები თავს არ დაგეცენენ!
არწივებივით უდარაჯეთ
თქვენს სადარაჯოს!
სიკვდილი ორგულთ!—
გაუმარჯოს დროშის ერთგულებს!
ქებათა-ქება მტერთა ზედა
ვინც გაიმარჯოს!

გ. ქუჩიშვილი.

მ ო ლ ა ლ ა ტ ე ს

ბრძოლის ჰანგათ ინასკება - გუშინდელი სიხარული,
შურის ცეცხლით ქუხს, გუზგუზებს ნალალატევ ერის გული;
ერთობის და ძიობის ნაცვლად სცემს, ჯღარუნებს დღეს ხმალ
ფარი,
არ გვეგონა, თუ გვიმტრობდა ძმად ნაფიცი მეგობარი.
დეე დღეის რისხვად იქცეს რაინდ გგმირთა გულის ძგერა;
რომ ძალაში გამოსჭედონ ძვირფას მშობლის ბედის წერა,
ერი მძლეობს, როს მის მახვილს მტერი ძრწოლით განშორ-
დება;
მართალია ალბათ სიტყვა: „ტბა უძრავად აშმორდება.“
ჰე, სამშობლოვ! შენს ყოფნაზე ბევრი იყო დანაქადი,
ნამუსს გზდიდა ველურ სკვითთა საუკუნის ნალალადი;
ვერაგობით მათ მოგვისპეს სახელო და სამლოცველო,
დღეს კი ყველა ძირს განერთხო, შენ კვლავ დარჩი - საქარ-
თველო!
ფუ, იმ ქართველს გასაჭირში, ვინც ღიაცებრ დაძაბუნდეს,
უღირს მტერთა ხმალთ ჟღარუნში, ვინც შერცხვენით გამო-
ბრუნდეს.—
დე, მახვილმა ესდენ მტრობა მისცეს მუდმივ დასასრულსა,
მტკიცედ გეწამდეს შოთას სიტყვა: „შიში შეიქმნს სიყვარულსა!
კმარა მეტი მოთმინება, კმარა მეტი მღუმარება,
მუხანათნო! რად არ გეყოთ ესდენ კაცთა მძულვარება?!..
მალე გნახავთ შიშით ღვრიდეთ სინანულის ცრემლებს ცხარეს,
ვეროა მტერი ვერას აწეებს ქრისტეს მშობლის წილხვედრ
მხარეს!

ზედასელი.

ღ ა რ ი ა ლ ი ს ო რ ო ნ ტ ი ლ ი

ბ ი ზ ლ ი ი ო რ თ ე ა ჯ

ღარიალის ხეობიდან დაბრუნდნენ ფრონტის დამხმარე
მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე და დამფ. კრების წევრი.
მათ ყაზბეგში და კობში მდგომ ჯარის კაცებს
დაურიგეს მათი ხვედრი საჩუქრები მთავარი კომიტე-
ტის, ტფილისის პროლეტარიატისა და ვაჭარ-მრეწვე-
ლთაგან გაგზავნილი მათის გადმოცემით ჩრდილოეთიდან
შემსვლელი ბუნებრივი ქიშკრები ჩვენი მედგარი მხედრობის
შეუღარებელი სიმტკიცით უზრუნველყოფილია მტრის რეს-
ბუბლიკის ტერიტორიაზე შემოჭრისაგან. აქ, საქართველოს
ძველი ისტორიული ნაშთებითა და სიმაგრეებით გამშვენებუ-
ლი მიდამოებია. მცხოვრებლებმა სრული თანაგრძნობით გარშე-
მორტყმული ჩვენი ჯარი საკვირველს გულმოდგინებასა და
შეგნებას იჩენს.

საჩუქრების მიღებამ ჯარი აღტაცებაში მოიყვანა. სა-
ლამს უძღვნიან ზურგში დარჩენილთა და მხურვალე მაღლო-
ბას სწირავენ საჩუქრების გამოგზავნათა და ამომტანთ. ჩვენს
მისალმებაზე ჯარის კ-ცებმა განაცხადეს, რომ იქ ისინი ბლო-
მად არიან და რომ აქ მცირე რიცხვიც უზრუნველყოფს ამ
შემოსავალს მრავალ რიცხოვან მტრის შემოსევისაგან და ით-
ხოვენ მომქმედ ფრონტზე გადაგვიყვანეთო. ეფიცებიან ერ-
თგულებაში დამფუძნებელს კრებასა.

წითელ არმიელებსა და ჩვენს ჯარს შორის რომელთა,
ყოველმხრივი განსხვავება თვალში გეცემათ—მისვლა-მოსვლა
არის. ღარიალში. წითელ არმიელები, რომელიც ლარსს იცა-
ვენ, მოდიან ჩვენებთან, სთხოვენ პაპიროსსა და თუთუნს, და
მათ შორის კეთილი განწყობილებაა. ჩვენი ჯარის კაცების
თხოვნით, მათაც მიუტანეთ საჩუქრები. გადავედით საზღვარ-
ზე. დიდს სიხარულით დაგვიხვდა იქ მდგომი რაზმი და გან-
ციფრებული დარჩენ, როდესაც ჩვენ მათ გადავეცით ლამა-
ზი მატერიის პარკები, სადაც იყო თხილი, თუთუნი, ასანთი
პაპიროსი, ღვინო, საპონი, ნემსი, ძაფი და სხვა. გამო-
გვიცხადეს მაღლობა. გამოგვიტხეს როგორ არის თქვენი
რესპუბლიკის მდგომარეობა და სთქვეს, ყოველმხრივად წე-
სიერი რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩვენ ვერავინ აგვადებინებდა
იარაღსო. მათ შორის იყო ერთი არმიელი ღუშელი გლე-
ხი, რომელმაც წამოსვლის ხანს გვითხრა: აი ამათთან ვარ
აგერ სამი თვე, და ერთი კვირა ვებირები წამოსვლას და თუ
მიმილო, ჩემს ქვეყანას მინდა ვემსახურო; გავიგე რა „ბედ-
ნიერება“ ყოფილა საბჭოთა რუსეთშიო. ცრემლიანი შემოგ-
ვყურებოდა, როცა გამოვბრუნდით და ჩვენებმა სიმღერა მო-
რთეს.

გზებზე ტანკები ვნახეთ, რომელნიც აქეთ მოაქვთ; კერ-
ძო პირთ და უსაქმო ჟუსხოელთ აქ არ უშვებენ; სანაპირო
რაზმები ფხიზლად მუშაობენ. ოფიცრობა და სამხედრო წარ-
მომადგენლები თავის სიმაღლეზე სდგანან; ჯარის კაცთ თა-
ვის დროზე არ მოსდით ჟურნალ-გაზეთები, რომელიც მათ-
თვის საჭიროა.

ჯარის-კაცთა წერილები.

დღევანდელი ჯარი სრულებით არ წააგავს 1918 წ. შესაძლებელია გაგიკვირდეთ კიდევ და სთქვათ, განაძობა შედარება მაშინდელი და დღევანდელი ჯარისაო.

მაგრამ 1918 წელი ერთმა ჩემმა მეზობელმა გამახსენა. დღეებში მოგვემატა მესამე ათასეული, რომელიც შესდგოდა მოთადარიგებისაგან. მაშინვე მათ სანახავათ ვავეშუშინდოდა შემეტყო თუ იყო ვინმე ჩემი ნაცნობი. მისთვის თვალ-წინ წარმომიდგა ჩემი მეზობელი, რომელიც 1918 წელს დასანახავადაც მეჯავრებოდა. მაშინვე პირი ვიყენე, რომ ეხლაც არ გამეგონა მისი არა სასიამოვნო სიტყვები, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დამანახვა. თუ ის ათასეულის თვრამეტ წელს შეუფენებლათ ეწინააღმდეგებოდა საბოლოოდ მთავრობას, ეხლა შეგნებულათ იცავდა მას. ბოლოს მივედი, რათა გამერჩია მალაპარაკე. ვერ გავიგონე თუ ერთი საწინააღმდეგო სიტყვა დღევანდელი მომენტისა. მათ არ აწუხებს ოჯახის ჯარი. მათ იციან, რომ მათი მიწა უმუშევრებელი არ დარჩება. დღეს მხოლოდ ერთი ფიქრი აქვთ ასულდგმულებთ: შენარჩუნება სამშობლოსა და რესპუბლიკისა. ეს არის მათი გულწრფელი საერთო მიზანი. თუ მაშინ რუსეთისაკენ იმზირებოდნენ და შეუფენებლათ მათს სიტყვებს იცავდნენ, დღეს საქართველოს და მის მთავრობას იცავენ შეგნებულათ, რომელსაც თავის სიცოცხლესაც უსწირავენ.

გაუმარჯოს საქართველოს და მის მთავრობას!
გაუმარჯოს მის დამცველ ჯარს და გვარდიას!

№ ქვეითა რაზმის **ჯ. კაცი უღელ-მამო.**

ს. ქერფილო.

ამხანაგებო და მოქალაქენო! მოგესალმებით ჩვენ, ჯარისკაცები რომელნიც ახლა პოზიციაზე ვართ და ყოველ მოთხოვნილებაზე მტრის წინააღმდეგ ვიბრძვით. ამხანაგებო და მოქალაქენო ჩვენ დიდ გულითად მადლობას გწირავთ თქვენმიერ მოგზავნილ საჩუქრებისთვის. ჩვენთვის მთავრობას რომ უფლებინა ვიტყოდით მოვიღეთო, მაგრამ რადგანაც თქვენ, მოქალაქენო, არ გვიფიქვებ ჩვენ ჩვენს თავს აღარ ვსთვლით მადლობათ. თქვენს იმედზე მიგვიტოვებია სახლი, კარი, დედ-მამა და სოფელ-შვილი და ვეცდებით ყველანი თქვენი სიყვარული და მადლობა უფრო გავაძრიელოთ.

მაშ, თქვენ მანდ ეცადეთ დაეხმარეთ ჯარისკაცის ცოლ-შვილს და ჩვენ აქ მტრის დავსცემთ შიშის ზარს და ყველანი ერთად და გადავიხდით დიდ გულითად მადლობას, რომ თქვენ არ დაგვიწყებიათ ფრონტი და მანდ მყოფი ჯარისკაცის მადლობა გვარდიელების ცოლ-შვილი.

მაშ, გაუმარჯოს საქართველოს, მის გმირებს და ჯარისკაცებს!

მე-5-თე ათასეულის მე-5-თე გუნდის ჯარისკაცი

ვასო მამალაშვილი

(1 გუნდის 1 ცხენ. რაზმის მოგზაურობიდან).

ოთხ ოქტომბერს დილის 9 საათზე დავედით ქალ. სოხუმიდან და გავრის გზას დავადექით.

სასიამოვნო სანახაობა იშლებოდა ჩვენს თვალწინ როდესაც მივდიოდით შავი ზღვის ნაპირას და გადავცქეროდით წყნარათ მოზიმიშიმე შავ ზღვას, საიდანაც ხშირათ ამოხტებოდა მონავარდუ ჭარბაზარი, თევზები და ზღვის ცხოველები და მზის სხივებს შესთამაშებდნენ.

ამინდი ძლიერ სასიამოვნო იყო. ასე გავიარეთ 23 ვერსი. ბოლოს კი გვაჩვენა ზღვამ ჩვეულებრივათ თავი სუსხი. ახალ-ათონს მიუახლოვდით, სამიოდე ვერსილა გვეკონდა გასავლელი, უეცრივ შეიცვალა ამინდი და წამოვიდა შხაპუნა წვიმა. შეხედრებმა საწვიმრები ჩაიცივეს. საღამოს ოთხ საათზე მივედით ახალ ათონში.

დახატული რომ შინახავს ახალი ათონი მითქვამს, მხატვარი სტყუის, ასე შემკული როგორ იქნება მეთქი, მაგრამ როდესაც ჩემი თვალით ვნახე, მაშინ კი ვსთქვი, მხატვრობას მეტი ხელოვნება არ ჰქონია, თორემ უფრო ლამაზი და შემკული უნდა დაეხატამეთქი.

1900 უკურთხებიათ ეს უხარ-მაზარი მონასტერი მაშინ 700-მდე ბერი ყოფილა ეხლა კი 300-ამდეა. ბერები სულ რუსები არიან, ქართველის რიცხვი ძაან ნაკლებია.

ნამდვილი „დისციპლინა“ მათშიაც ყოფილა. დგებიან დილის ორ საათზე. ლოცულობენ გათენებამდი. მერმე სხვადა სხვა სამუშაოზე მიდიან, ნაწილი მიდის წისქვილში, ნაწილი ვენახებში, ზოგი სამწყყესურში. ერთი სიტყვით ყველანი ასრულებენ მიჩენილ სამუშაოს. მათში ბევრია უმაღლეს სასწავლებლიდანაც, თუ ვინმემ მათთაგანმა დააშაფა რამე, ამისთვის განსაზღვრული სასჯელი აქვთ.

მისვლისთანავე ერთ ბერს ვსთხოვეთ ეჩვენებანა ეკლესიის შიგნით მხატვრობა, სიამოვნებით აასრულა ჩვენი თხოვნა; თითქმის ბოლოს ისე მხედარი არ დარჩენილა რომ არ ენახოს ეს ძვირფასი სანახაევი. ჩვენს გაკვირებას საზღვარი არ ჰქონდა; მხატვრობა ამ უკანასკნელ დროს დაუსრულებიათ, მხატვრები მოუყვანიან რუსეთისა და სამზღვარ გარეთის ქალაქებიდან, მხატვრობა რომ დაუსრულებიათ სახელმწიფო გადატრიალება იმ დროს მოხდა და მონასტერი უკურთხებელი დარჩა და ასე რომ წირვა-ლოცვა არ სწარმოებს.

მარცხნივ, ან დასავლეთისკენ, ამ მდებარეობისა არის წინიდან მიუვალი მთა, მის სიმაღლეზე მოსჩანს ძველი, სადაც არის დაწყებული სამლოცველოც, რომელიც არ არის დასრულებული. იქ განისვენებენ „შარვაშიძეები“, ძველს აწერია „ჩვენ ვიყავით როგორც თქვენა, თქვენ იქნებით როგორც ჩვენა“.

ხუთში დილით 9 საათზე გაუდექით ჩვენს გზას.

ამინდი ძალიან სასიამოვნო იყო, მეტ ყურადღებას იქცევდა გზა გზა მაღალი ხეები, რომელიც ჩამოძანძული იყო მწიფე ადვისის ყურძენით რითაც მხედრები „პატისცემას არ აკლებდა მათ“; ამ ყოფნით გავიარეთ ოჩამჩირი და დავბინავდით თეთრ მდინარეს გაღმა. ექვსში დილით ჩვეულებრივად შემოხსენებული ზემიძე მივედით გავრში და დავბინავდით ორდენბურგის პრინციის აგარაკში.

ზემდეგი I. გუნდის I. ცხ. რაზმ. დ. ჯანკვეტაძე.

კვირიდან-კვირამდე.

შეთქმულობა რესპუბლიკის წინააღმდეგ. სოხუმში ადგილობრივმა მთავრობამ აღმოაჩინა შეთქმულობა რესპუბლიკის წინააღმდეგ. შეთქმულობაში მონაწილეობას იღებდნენ კომუნისტები: კუხალეიშვილი, ვიგრიანოვი და სვანიძე. აღმოჩენილია ბევრი ყუმბარები და ასაფეთქებელი ნივთიერება. შეთქმულნი დატუსაღებული არიან. გამოძიება სწარმოებს.

საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოებამ საპატიო წევრად აირჩია მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანი.

სამხედრო მინისტრის ამხანაგმა გენერალმა **გედევანიშვილმა** იტალიის სამხედრო წარმომადგენელის **გაბბასაგან** ფოთიდან შემდეგი გამოსათხოვარი დებეშა მიიღო „ვმორდები რა საქართველოს, საქართველოს სახელოვან ჯარს ჩემს გულითად სალამს ვუძღვნი და აგრეთვე ვუსურვებს საუკეთესო გამარჯვებას და სახელოვნებას. თქვენ კი, გენერალო, მოგიძღვნი ჩემს გულითადს მადლობას და გიცხადებთ ერთგულობას. პოლკოვნიკი **გაბბა**“.

ნავთლელ კახეთის გვარდიის შტაბის პრეზიდიუმო

გთხოვს გამოცხადოთ შემდეგი: 19 მაისს, როდესაც მოხდა მობილიზაცია და ყველა გვარდიელები გამოცხადდნენ შტაბში, სადგ. მუკუხანის უფროსის თანაშემწემ გვარდიელმა სოლომონ მაჩაბელმა კატეგორიული უარი განაცხადა ფრონტზე წასვლაზე, მიზეზად წამოაყენა რამდენიმე უსაფუძვლო და უმნიშვნელო საბუთები. იქონია რა მსჯელობა შტაბის პრეზიდიუმმა, დაადგინა: აყაროს მაჩაბელს იარაღი და როგორც არა საიმედო პიროვნება გამოირიცხოს გვარდიიდან, რაც ეცნობოს ყველა შტაბებს, რომ იგი არსად არ იყოს გვარდიაში მიღებული.

ფრონტისათვის

ფრონტის დამხმარე მთავარმა კომიტეტმა ბორჩალოს თათრებისაგან ფრონტის საჭიროებისათვის მიიღო შემოწირულება ფულათ, 31 ფუთი ყველი და 5 ფუთი კარაქი.

ამ დღეებში წნორის წყლის მიმართულებით მთავარი კომიტეტი ჰგზავნის საჩუქრებს ჯარისკაცებისათვის.

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ მთავარ კომიტეტში თავის წარმომადგენლად აირჩია ნიკ. იმნაიშვილი, საპროფესიო კავშირმა — ფანცხავა, ჯარის მხრივ პოლკ. ტ. ართმელაძე.

მთავარ კომიტეტის წინაშე დასახიჩრებულ მეომართა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა, რათა მან გადასდოს თანხა ევროპაში წარმომადგენელის გასაგზავნად მთელი ქვეყნის ინფალიდთა ყრილობაზე დასასწრებლად.

ფქვილი საქართველოსთვის.

საქართველოს რკინის-გზათა მოძრაობის უფროსი **გ. ლ. აბელი** ბათმიდან იტყობინება, რომ საქართველოსთვის იგზავნება **ორასი ათასი ფუთი** ამერიკული ფქვილი. ამა თვის 23-დღე ოთხი წყებად გამოიგზავნა ფქვილი ტფილისში.

ჯარისკაცთა ოჯახების საზაფხულო მუშაობა: თავის დროზე, თანახმად თავდაცვის საბჭოს რეგულირებისა, წინადადება მიეცა ყველა სამაზრო ერთეულს მიიღონ სათანადო ზომები ჯარში გაწვეულთა მიწების დასამუშავებლად. ეს ბრძანება თითქმის ყველგან მოჰყავთ სისრულეში იმდენად, რომ დენადაც ეს შესაძლებელია ადგილობრივ პირობების მიხედვით. თავდაცვის საბჭომ, რომ უფრო ნაყოფიერი შეიქმნა ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ ზემო აღნიშნულ ოჯახებზე აღმოჩენილი დახმარება, 23 ივნისის სხდომაზე ნებდართომ მთავარსარდალს სამხედრო ერთეულებში ძყოველი ჯარისკაცთა ათი პროც-ზე საზაფხულო სამუშაოდ შევსებული მიცემისა. ამ სახით ჯარისკაცებს საშუალება მიეცეს ერთმხრით უფრო ნაყოფიერად მოიხმარონ ადგილობრივ თვითმართველობათა დახმარება და მეორეს მხრით თავისი საკუთარი შრომით მოაწესრიგონ ოჯახის მდგომარეობა.

მოსკოვი.

მოსკოვში მიიღეს 9 ვაგონი ბრინჯი „ადერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის თავისუფალ მუშების და გლეხობას“ მიერ „მიძღვნილი“. ამის გამო გაზეთი „იზვესტია“ სწერს: „რადგანაც მეტის-მეტად ძვირფასი რამ არაა ზემოხსენებული ძღვენი, მას გაუნაწილებენ პეტროგრადს, მოსკოვსა და ივანოვო-ვოზნესსკის“

„პრავდა“ გადმოგვცემს, რომ მოსკოვში პასუხისმგებელ თანამდებობის პირთ კერძო პირებზე გაუყიდნიათ 14 მილიონ მანათის სხვა და სხვა სამეურნეო იარაღები, რომელიც მუშებისათვის უნდა დაერიგებინათ. დატუსაღებულია გოლდმანი ბროიდე, არნსონი, დომშლაგი და სხანი.

მიხა ცხაკაიას ლექცია.

ივნისის 22-ს სახელმწიფო თეატრში კომუნისტების თაოსნობით დანიშნული იყო მიხა ცხაკაიას რუსული ლექცია „რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა“. აფიშებზე გამოცხადებული იყო, რომ გამოწვეულია საკმაოდ ყველა პარტიებში, სოც.-ფედერ- მთავარმა კომიტეტმა კამათში მონაწილეობის მისაღებათ გაგზავნა ამხ. შ. ნუტუბიძე, აკ. პაპუა და ს. დადიანი, სოც.-დემოკრატების მხრით დანიშნულნი იყვნენ კაკი წერეთელი და ვ. ჯუღელი. ოპონენტები გამოცხადდნენ. მაგრამ ლექტორები არ მოვიდნენ და ლექცია შესდგა. (ს.ს.)

რედაქციისაგან

სანაპირო ჯარის უფროსი გენერალი ახმეტელაშვილი გვაუწყებს, რომ „მხედრის“ მე-2 ნომერში მოთავსებული წერილი „კულტურული მუშაობა სანაპირო ჯარში“ ა. გ. ხელმოწერილი თავისი შინაარსით სიმართლეს არ შეეფერება ვინაიდან კულტურული მუშაობა სანაპირო ჯარში „ეხლა არ იწყება“ დიდი ხანია რაც დაწყებულია.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

პასუხის მგებელი რედაქტორი: **ნ. კურდღელაშვილი.**